საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა.ბ^1“ და „ა.ბ^2“ ქვეპუნქტები:

„ა.ბ^1) აკონტროლებს მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების განხორციელების უზრუნველსაყოფად მოძალადის მიმართ დაწესებული ელექტრონული ზედამხედველობის აღსრულებას;

ა.ბ^2) ელექტრონული საშუალების სხეულზე დასამაგრებლად მოძალადის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ახორციელებს მის ძებნას ქვეყნის მასშტაბით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

13 ივლისი 2020 წ.

N6761-რს